ტელეფონი № 76.

პარასკევი, 4 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადებისათვის:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ. ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გრძლიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ ს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 476 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 476

## ქალაქის თეატრი

დღეს, პარასკევს, 4 ნოემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო

## საღამო

5 განყოფილებათ.

1. აკ. წერეთელი ისაუბრებს **უახლოეს ქართულ ლიტერატურაზე.** 2. გ. ნიორაძე წაიკითხავს ლექციას **ქართველი პედაგოგი და მისი იდეალები**

3 ლიტერატურა.

ტახელი, ბ. ახოსპირელი, ი. ნიკოლაიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, სიმ. წყველი, გრ. მეგრელიშვილი, ნ. მიწიშვილი, ს. ვარდოშვილი და სხვანი

**წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს.**

4 სიმღერა

„წვიმა“, „გაზაფხული“ და სხვა რომანსებს იმღერებენ იშხნელის ასულნი.
„მინდა გიყვარდე“, „დაიგვიანეს“ და სხ.—შეასრ. ტრიო. „შენ გეტრფი მარად“ ვ. იშხნელი.

5 იუმორი.

**„ეშმაკის სიენები“, „ვაი-ვუი“, „მიცოცავს“,** შესრულებენ: ნემო, ვ. აბულაძე, ვ. ტემშლაშვილი, № და მომღერალთა გუნდი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

## ალიონი განთავისუფლებისა

ცნობილი დრამა 5 ნაწილად თანამედროვე ომიდან. მოქმედება სწარმოებს მდ. იზონცოს ნაპირებზე. სურათი გადაღებულია იტალიის სამხედრო მინისტრის ნებართვით.

საქვეყნო ცნობები **პათე ჟურნალი** საქვეყნო ცნობები.

### მოწაფის ოინები

სახუმარო.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა

## ქორის ბუდე

მეორე სერია. დრამა ცხოვრებიდან 5 ნაწილად. პაზუხინის ცნობილ რომანის მიხედვით, ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარამანოვისა, რიმსკისა და კანოვას მონაწილეობით.

საქვეყნო ცნობები | პატე ჟურნალი | საქვეყნო ცნობები

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბაღაზვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი** ს. **ჩარქვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლგვაზოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

## დაიკარგა

სექტემბრის ბოლო რიცხვებში სოხუმსა და ოზურგეთს შუა

### უვადო პასპორტი

მიცემული ოზურგეთის მაზრის სამმართველოსაგან, Θома Глахуновъ онъ же Григорьевъ Челидзе онъ же Мчелидзе. მნახველს ვსთხოვ გამაგებინოს, ან გამომიგზავნოს, რისთვისაც შესაფერ სასყიდელს მივართმევ. ჩემი მისამართი: Очемчири, Феттеръ Θомѣ Мчелидзе. 3—1

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანრივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ხაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას; ამასთან ერთად ვავიღებ და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ განოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივა და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## ავათმყოფთა საყურადღებოთ.

ვისაც თვალები სტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართოს ქ. ქუთაისში, თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში, **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომარჩინა **უაპერაციოთ.**

3—1 პატივისცემით **ზრიშა აბულაძე.**

---

## განცხადება.

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული

### საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების

## საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან;

### წევრების მიღება დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს-ხაზინადარს **ა. მ. კრინიცკის ქ. ქუთაისში,** გიმნაზიის ქუჩაზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, და თან შეიტანოს **იმ კრედიტის ათი პროც. რომლის გახსნასაც თხოულობს.**

---

რუს-ფრანგთა რეზინისა, გუტაპერჩისა და სატელეგრაფო ნაწარმოების ამხანაგობის

## „პროვოდნიკი“-ს

**გამგეობა მოსკოვში**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

**კონსტანტინე პორფირეს ძე გუსევი**

ჩვენი ამხანაგობის ქუთაისის საწყობის გამგეთ აღარაა და მისდამი რწმუნებას გასული თვის ოქტომბრის 31 დან აღარ აქვს ძალა. ქუთაისის საწყობის გამგეთ ახლა ჩვენ მიერ დანიშნულია

**ალექსანდრე ნიკიტას ძე გორშკოვი**

გამგეობა სთხოვს ბ.ბ. მუშტრებს, რომ პატივისცენ და იგი აღჭურვონ ნდობით

3—1

---

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

## პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

---

## დაიბეჭდა

ბ. დ. **უზნაძის** მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა.

ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. ვ. ციციანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**მოკავშირეთა მოქმედება გასულ კვირაში.**

ინგლისის ასპარეზი.

ინგლისელებმა გაასწორეს თავისი ფრონტი აღმოსავლეთით გედეკურს აქეთ და მედგარი ბრძოლის შემდეგ აიღეს კიდევ მტრის რამოდენიმე სანგრები ყველა კონტრიერიშები მოგერებულ იქნა მტრისთვის დიდი დანაკლისით.

იტალიის ასპარეზი.

კარსოს გორაკებზე იტალიელებმა წინ წაიწიეს 291 და 309 სიმაღლეებზე, რომლებიც მდებარეობს ფაიტი-კრიბის და კონსტინევიცის შუა. წართმეულია ოთხი სამთო ზარბაზანი 37 მილიმეტრიან ყალიბისა, და 6 ზარბაზანი 150 მილიმეტ. ყალიბისა.

საფრანგეთის ასპარეზი.

სომის ჩრდილოეთით ფრანგებმა სულ ერთიანად ხელთ იგდეს მთელი სოფელი საილზელი. სომმის სამხრეთით ფრანგებმა დაიპყრეს სოფლები: პრესსუარი, და აბლენკური და მიადგნენ დგომიკურს. საერთო რიცხვი ნადავლისა შეადგენს 40796 ტყვე სალდათს, 814 აფიცერს 101 მძიმე ზარბაზანს 104 სასანგრო მორტირებს და 535 ტყვიის მფრქვეველებს.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

კოპენჰაგენიდან გვატყობინებენ. რომ უნგრეთის ოპოზიციონურმა პარტიამ, გრაფ ანდრაშის მეთაურობით წარმოსთქვა, რომ პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება ცენტრალურ სახელმწიფოთა სურვილის ისტორიის წინაშე გამოაშკარებაა.

— —

„ტამპ“-ში პოლონეთის თავისუფლებაზე გერმანიის მთავრობის აზრი იყო მოყვანილი: გერმანიის სოციალისტები გერმანიზაციის აგენტები იყვნენ ელზას და ლორენშიო; დღეს გაზეთის სიტყვით, იმავე თანამდებობას შეასრულებენ პოლონეთში, ჩეხიაში და გალიციაშიო.

— —

„ბერლინ ტაგებლატს“ პოლიტიკურად მოწინავე პირებში პოლონეთის შესახებ ტერესო პასუხი მოსვლია: სხვათა შორის ცნობილ სოციალ დემოკრატთა მწერალს ედუარდ ბერშტეინს უთქვამს, რომ თანახმად დემოკრატიული პრინციპებისა საჭიროა პოლონეთის საკითხი მთელ, თავის სივრცით უკანასკნელად გადაწყდეს. პოლონეთის საკითხის ნახევრად გადაწყვეტას როგორც ევროპისთვის ექნება უბედური შედეგი, აგრეთვე პოლონეთისათვისო.

პოლონეთმა, ბერშტეინის სიტყვით, წინ სვლა უნდა განაგრძოს როგორც შემაერთებელმა ჯაჭვმა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაციათა შორისო.

— —

ჰოლანდიის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ პოლონეთის განთავისუფლება, რასაკვირველია, პოლონეთის სიყვარულს არ გამოუწვევიაო. იგი ეგოისტური აზრების შედეგიაო.

— —

„ბირჟ. ვედ“. ავტორიტეტიული წყაროებიდან შეუტყვია, რომ ჩვენი საქმე დობრუჯაში ნელ ჩელა წინ მიდის და უმჯობესდებაო.

— —

იმავე გაზეთი სიტყვით კავკასიის ფრონტის მდგომარეობა უცვლელია. მტერმა წინ სვლის იმედი სრულიად დაკარგა. დიარბექირთან დამარცხებამ სრულიად აშკარა ჰყო, რომ ნემცები ჩვენ წინააღმდეგ კამპანიას ვეღარ შეძლებენო.

— —

ლონდონიდან გვატყობინებენ, რომ ორთქლმავალი ტრალერი „კიოტი“ დაუღუპიათ. მსახურნი გადარჩენილან.

— —

ათინიდან დეპეშით ცნობა მოსულა, რომ ფრანგებს კუნძული „ლეროსი“ დაუკავებიათ. ამ კუნძულზე საბერძნეთს თავისი სამხედრო სურსათი ქონია, თოფიარაღის საწყობი და თავის წყალ ქვეშ ნავების სადგურიო.

— —

ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ რომ ამ მსოფლიო ომის დროს დღემდე ყველა სახელმწიფოებისათვის გერმანელებს დაუღუპავთ 1106 გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო სათათბირო

**პეტროგრადი.** 1 ნოემბერი ნაშუადღევის 1 საათ. და 30 წ. ეკატირინეს დარბაზში თავი მოიყარეს სათათბიროს თავჯდომარემ, დეპუტატმა და კანცელარიის მოხელეებმა, პარაკლისის დაწყებისას მოვიდნენ: მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე გოფმ. შტიურმერი, სახელმწიფო საბჭოს წევრები და უწყებათა წარმომადგენელნი პარაკლისი გათავდა სამეფო სახლის მრავალ-ჟამიერით. 2 საათ და 25 წ. თავჯდომარე სხდომას გახსნილათ აცხადებს ლოჟები გაჭედილია, მაყურებელთა ლოჟებში ყველა ადგილი დაკავებულია. მინისტრთა ლოჟებში შტიურმერი და მინისტრთა მთელი შემადგენლობა ზის.

სათათბიროს თავჯდომარე ითხოვს ფეხზედ ადგომით პატივი სცენ შემდეგ გარდაცვალებულ დეპუტატთა ხსოვნას: გლადიშის, მამა ბორზაკოვსკის და დემინოვის; ყველანი ფეხზედ სდგებიან. წაკითხულ იქმნა კანცელარიაში მოსული საქმეები, მათ შორის პროტოპოპოვის უარი თავმჯდომარის თანაზიარის ადგილზედ.

თავჯდომარე შემდეგი სიტყვით მიმართავს სახელმწიფო სათათბიროს:

„ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო: საერთაშორისო ომის დაწყებიდან უკვე მეხუთედ ვიკრიბებით. განვლო ომის დაწყების შემდეგ 27 თვემ, მაგრამ ომი თანდათან რთულდება, ახალ ადგილებს იპყრობს და ახალ ერებს ირთავს შიგ. ომის საჭიროებანი იზრდებიან და ძლიერ აქვემდებარებს ყოველ დღიურ საჭიროებათ და გვიბრძანებს გავიღოთ ახალი და აუცილებელი მსხვერპლი. მძიმე ლოდად დააწვა ულმური ომი ჩვენ სამშობლოს; დღითი-დღე რთულდებოდა იგი ეროვნული ცხოვრების პირობებში და ამით იქვს და შიშს ჰბადებდა. ომი აღარ თავდება, სამხედრო მოქმედება თანდათან სასტიკ ხასიათს იღებს და უფრო მეტ ძალ ღონის დახარჯვას გვთხოვს. მტერი და არ მოტეხილა; სასოწარკვეთილების ვაჟკაცობით იცავს იგი თავს და აი ამ დროს ვუბრუნდებით, დიდი, ვიტყვი, ძალიან დიდი შესვენების შემდეგ ვუბრუნდებით ჩვენ მუშაობას; სათათბიროს უპირველესი მოვალეობაა წყნარი და დაწვრილებითი განხილვა მდგომარეობისა, დაუყონებლივ მოვიშოროთ ის (ხმები მარცხნით: „ის კი არა იგი), რაც ხელს გვიშლის ჩვენი მიზნის მიღწევას (მარცხნით: „ვაშა"). ამას მოითხოვს ეროვნული პატიოსნება და ეროვნული სინიდისი; ამას ბრძანებით ითხოვს არა მარტო სახელმწიფოსთვის ხიფათის აცილება, არამედ მომავალ თაობათა კეთილდღეობა, ღვთის წყალობით, რუსეთი ამას მიაღწევს (ყოველი მხრიდან ისმის: „მართალია", ვაშა"!) ომმა უკვე გამოითხოვა ცხოვრებისათვის უმოქმედო ერის ძალები და მათ დაამტკიცეს თავისი ძლიერება. ეს ძალა უძლეველია.

როდესაც გასულ წელს გაისმა ხმა ხელმწიფისა, რუსეთი აღფრთოვანდა შეუდგა შინა-მუშაობას და ძლევა მოსილი ჯარი გასაოცრად გაამხნევა, დაუღალავ მუშაობაში ვიპოვეთ განსაცდელში გამოსასვლელი და მტრის ერთსულოვანი წინააღმდეგობით გავაოცეთ მთელი ქვეყანა. ეხლა დრო დადგა უფრო მძლავრად დავძაბროთ ჩვენი ნებისყოფა, მთელი ჩვენი ძალები, უფრო მეუყათად შევუდგეთ მუშაობას, გასამარჯვებლათ და ნურას დროს ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენ უნდა გავიმარჯოთ. (ტაშის ცემა ყოველ მხრიდან) ჩვენ ვიცით, რა გზითაც უნდა ვიაროთ ამისათვის: შინაგანი სიწყნარე, რწმენა ჩვენი ძლევისა, სულის სიმტკიცე განსაცდელში და დაუფარავათ თქმული სიმართლე აქ, აი ამ კედლებს შორის (ტაში ყველა სკამზედ)! მთავრობამ უნდა გაიგოს თქვენგან, თუ ხალხს რა უნდა. ჟამსა ბრძოლისა და ჟამსა ერის ძალთა დაბაგრისა არ შეიძლება ჩაქრობა ხალხის სულის უმიზნო შევიწროებით (ტაში).

მთავრობას შეუძლია ხალხისაგან განცალკევებული გზით სვლა (ხმები: „მართალია"), მაგრამ თუ იგი აღჭურვილია ერის ნდობით, უნდა მოიწვიოს საზოგადოებრივი ძალები და იაროს მათთან ერთად, ხალხის თანახმად, ხალხის მისწრაფებისა, მტრის დასამარცხებლად. ამ გზის გადახვევა შეუძლებელია (ხმები მარცხნით: მართალია) და თუ გადაუხვევს, სრულ გამარჯვებას უსათუოდ დაახანებენ (ხმები მარცხნით: „ძირს", უნდა მოგვცილდნენ"); ერის სასარგებლო მუშაობის უარით ნუ დავასუსტებთ ერის ნება-ყოფის მთელ ძალას (ხმები: „მართალია").

ერის ძალთა სრული იმედით, ძლიერის, როგორც ბედის წერა, ისევე ვთქვათ: „დიდო რუსეთო, შენ ვერავინ ვერ გაგტეხს, სალკლდესავებრ გაუძლებ ძლიერ ქარტეხილს" ტაში მარცხნით).

წევრნო! დღეს, ჩვენი მუშაობის განახლებისას, არ შემიძლია დუმილით გვერდი ავუარო სასიხარულო მოვლენას: ერთა ძმურ ოჯახს, სიმართლისა და სამართლიანობის უმაღლესი პრინციპებისათვის, ჩვენთან ერთად მებრძოლს, მიემატა კიდევ ერთი წევრი, რომელიც ამ პრინციპებს იზიარებს. მე შემომაქვს წინადადება ჩვენი სალამი გაუგზავნოთ ამ მოკავშირეს — სახელოვან რუმინეთის ერს და უსურვოთ მათ სახელოვანი გამარჯვება. (ხმები: „გთხოვთ"). მივესალმოთ ჩვენს შორის მყოფ რუმინეთის წარმომადგენელ ელჩს (ხანგრძლივი ტაში), ჩვენი გულითადი სალამი ძველ გამოცდილ მოკავშირეთ (საერთო ტაში, ხმები: ვაშა; ხმები მარცხნით: გაუმარჯოს ინგლისს"), მივულოცოთ მათ, სახელოვანი გამარჯვებანი წარსულ ზაფხულის კამპანიაში.

ბატონებო! ჩვენ ვერ დავივიწყებთ მათ დახმარებას, რადგან მათ ძლიერ ბევრი გააკეთეს საერთო გამარჯვების მისაღწევად. ჩვენ შორის არ არის უთანხმოება და მეგობრობა უფრო მჭიდროვდება, რაც ასე აღიზიანებს ჩვენს მტერს; ყოველ ღონეს ღონობსიგი, რათა როგორმე ჩაშალოს ეს კავშირი მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს რადგან მჭიდროთ ვართ შეკავშირებულნი დაღვრილი სისხლით და შეწირულ მსხვერპლით. ფუჭია მათი ცდა რუსეთმა სიტყვა მისცა მათ, რომ გამარჯვებამდის იარაღს არ დაჰყრის და რუსეთი თავის მეგობრებს არ გაჰყიდის.

რუსეთი ვერ უღალატებს მათ, ვინც 27 თვე მასთან ერთად იბრძოდა საერთო საქმისათვის (ხანგრძლივი ტაში) ზიზღით უარჰყოფს ყოველსავე წინადადებას სეპარატიულ ზავის შესახებ (ტაში). განვლო უკვე 27 თვემ ომის დაწყებიდან დაუცხრელად მედგრად და უშიშრად გენერლიდან დაწყებული ჯარის კაცამდე ჩვენი ძლევა მოსილი ჯარი უშიშრად იბრძვის. უშიშრად იბრძვის სახელოვანი ჩვენი ფლოტი და ფრთხილად იცავს რუსეთის ნაპირებს. იგია ჩვენი იმედი, მათ-თვისაა ჩვენი ლოცვა და კურთხევა იბრძოლეთ მედგრად სამშობლოსათვის, დაუზოგავათ ამარცხეთ მტერი; ჩვენ ვიყავით და ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ჯარი და ფლოტი არას დროს არ შეგვარცხვენს. წინადადებას ვიძლევი მივესალმოთ ჩვენს მამაც ჯარს, ფლოტს მათი უმაღლესი მთავარ სარდლის, ხელმწიფე იმპერატორის სახით" ტაში).

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც სათათბიროს გახსნისას ავადმყოფობის გამო პირველად გამოვიდა სახლიდან, როდზიანკოს სიტყვის შემდეგ სათათბიროს დარბაზი დასტოვა.

(დასასრული ხვალ)

## [illegible]

უკანასკნელი წლების მოუსავლობამ და ომის საშინელმა შედეგებმა მთელი ჩვენი ცხოვრება აატორიაქა, მაგრამ საშინელი მდგომარეობა, როგორიც შეიქმნა სამეგრელოში არც ერთ ჩვენი ქვეყნის კუთხეში არ მომხდარა. გაზ. „საქართველო" ეხება ამ მწვავე საკითხს და ამბობს:

„დღე ისე არ გაივლის, რომ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში ან ვინმე არ გაძარცვონ, ან ვინმე არ მოჰკლან, ან ვინმე არ გადაბუგონ. დღე ისე არ გაივლის, რომ ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთ აღმაშფოთებელი ზნეობრივი შეურაცხყოფა არ მიაყენონ. ყა-[illegible]ჩაღები თავის ქეიფზე აქორწინებენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ, თუ მოხუცებულ მამაკაცებს და დედაკაცებს. ყაჩაღები ძალად ერთმანეთისაგან ჰთიშავენ ხანგრძლივის ოჯახურის ცხოვრებით ტკბილად შეზრდილ ცოლ-ქმართ. ყაჩაღები ფართო შარა გზაზედ ქალებს იჭერენ და აუპატიურებენ. ჟურნალ-გაზეთებში იმის მეასედიც არ იბეჭდება, რაც სოფლად ხდება. არ დარჩენილა არც ერთი მხარე კერძო პიროვნებისა, თუ მთელი ოჯახის ცხოვრებაში, ზნეობრივი, რელიგიური ქონებრივი თუ ფიზიკური, რომელიც შეურაცხყოფილი, შეგინებული, დაქცეული და განადგურებული არ იყვეს. შეირყა არსებობის საფუძველი; გადალახულია ყოველგვარი ნორმა, იურიდიული, სარწმუნოებრივი. აუწერელი ამბები ხდება. გამოუთქმელ საზიზღრობასა და საშინელებას აქვს ადგილი დღემარად. ხალხს თავი მოძულებული აქვს. თავდამსხმელ შეურაცხმყოფელთ განწირული ზვარაკები გულის უკანასკნელ ფეთქვამდე ებრძვიან, ნამუსისა, ქონებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად! ამ შეტაკებაში მომხდური და დამხდური ერთმანეთს ანადგურებენ, ხოცვენ და სწყვეტენ. იხრდება ყველაფერი და ნიავდება. ვისაც შეძლება აქვს, სოფლიდან უკანმოუხედავათ გარბის ვისაც არა,—იგი რჩება უმწეოდ ღვთის ანაბარა და ულონო წყევლებაში ჰკარგავს ყველაფერს ეთხოვება! ქრისტეს ტირილია სამეგრელოში. გოდებაა და გულის მწუხარება უაღრესი, უნუგეშო. დაირღვა კავშირები, რომელნიც დღემდე ცხოვრებას ბუნებრივ კალაპოტში ატევდნენ და ადამიანის სიცოცხლესა და საქმიანობას, აზრსა და შინაარს აძლევდნენ! ქვეყანა ძირს დაექანა. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს ანარქია თანდათან იმატებს, თანდათან გაფართოვდება და გაღრმავდება; სადაა საზოგადოების დაწმენდილი ინსტიქტები შეუდავებელი ბატო[illegible] და მაშინ ნახეთ ჩვენი ქვეყნის ბედშაობა, მისი ტრაგედია! არავინ აქცევს ყურადღებას.

. . . . .

მთავრობის იმედით ყოფნა სრულიად უსაფუძვლოა.

. . . . .

როცა მოილის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოისურვებს საქმის გასწორებას. დამჯელ რაზმებსა და ექსპედიციას მიმართავს და სოფელ. სოფელ ეგზეკუციას ჩამოარიგებს აბა მაშინ ნახეთ რაც უბედურება დატრიალდეს სამეგრელოს თავზე რა შავი დღე გაუთენდეს მე[illegible] სახლდება [illegible] მეგრელს.

ეგზეკუცია! [illegible] რად უფრო საშინელი უბედურება, ვიდრე ყაჩაღთა დღევანდელი თარეში! ამას მოჰყვება იგივე ეკონომიური განადგურება მხარისა, იგივე შებღალვა დედაკაცთა ნამუსისა. მხოლოდ უფრო საფუძლიანი.

. . . . .

ყოველის ღონით უნდა ვეცადნეთ, რომ ასე არ მოხდეს. სამეგრელოს ანარქიასთან საბრძოლველად ჩვენი საზოგადოებრივი ძალა და თაოსნობა უნდა გამოვიდეს. ქართველმა ინტელიგენტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა კაბინეტებს უნდა თავი გაანებონ და ტალღად მოედონ მთელ სამეგრელოს. ძლიერი და ენერგიული პროპაგანდა უნდა მოეწყოს; ყოველ სამამასახლისოში უნდა საჯარო კრებები გაიმართოს; სოფელს ხმა უნდა მივაწოდოთ, ბროშურები დაურიგოთ. დავანახოთ ჩვენი თანაგრძნობა და დავარწმუნოთ, რომ ძარცვა გლეჯასა, თარეშს და რბევას ებრძოლოს მთელი შეგნებული ქართველობა შევმატოთ ხალხს მხნეობა და ზნეობრივი სიმტკიცე. მაშინ მოთარეშენიც წელში გაიდრიკებიან.

ქართველი მოწინავე საზოგადოება უნდა ჩადგეს მთავრობასა და ამ უნებურ ყაჩაღებ შორის და შეეცადოს რაც შეიძლება უმტკიცებულად მოახდინოს სამეგრელოს მდგომარეობის ლიკვიდაცია.

## შავი შაშვი.

ბ-მა კ. ფოცხვერაშვილმა 26 ოქტომბერს თავისგან გამართულ კონცერტზე, ქართული გალობა-სიმღერის ვითარებას, უდიადესი და უაღრესი აღსნა განმარტებე გაუკეთა. სხვადასხვა ერთა ჰარმონიის კილოკავების ნიმუშები გვაჩვენა და ვისაც ცოტათი გალობა-სიმღერის სმენა და შეგნება აქვს, სავსებით დაარწმუნებდა მას, რომ სიმღერა-გალობაში ქართველთა გენიოსობა განვითარება უმაღლეს საფეხურამდის მიღწეულა.

ეს განვითარება მომხდარა, იმ დრომდის, სანამ ქართველი თავის ენას, ზნეწესს და არსებობას დამოუკიდებლათ ავითარებდა და თავისუფლათ აფერადებდა თვით არსებობის სფეროში. შემდეგ კი გადაგვარების, განადგურების და დაკარგვის გზას განიცდის.

დიდება და ქება იმ ერს და განსაკუთრებით იმ პირთ, ვისაც ეს ხმები, ამ გადაწყვეტიადების ხანაში შეურჩენია და დღემდის მოუტანია; განსაკუთრებით სა-

# დაფნისი და ქლოია.

**ანტიკ II მოთხრობა ლონგუსისა.**

**წიგნი მესამე**

1. როდესაც მიტილენიელმა მტერთა თავდასხმა შეიტყეს და მათ ყურამდეც მიაღწია სოფლის აოხრების ამბავმა, გადასწყვიტეს დასჯა და იარაღი აისხეს. შეკრიბეს: სამი ათასი ქვეითი ლაშქარი, ხუთასი ცხენოსანი და ჰიპასის წინამძღოლობით დაედევნენ მშრალით, რადგან ზამთრის პირზე საშიში იყო ზღვით მოგზაურობა.

2. ჰიპასმა ომი გამოუცხადა, ძარცვა-გლეჯა კი აკრძალა სასტიკად; არც ჯოგებს იტაცებდა და არც მიწისმფლობელთ და მწყემსებს არბევდა, რადგან ყაჩაღთა ბრბოს ხელობად მიაჩნდა ძარცვა-გლეჯა და ლაშქარს კი არ შეეფერებოდა ასეთი სამარცხვინო საქმე. სწრაფად მიუახლოვდა ქალაქს იმ აზრით, რომ გალავნის კარები ღია დახვედროდა, უდარაჯოდ და მოულოდნელად დასხმოდა თავს. მეტიმნიიდან ასი სტადიის სიშორეზე იყო მისული, რომ ზავის წინადადებით გამოეგება გზირი შეიტყეს—რა ტყვეთაგან რომ მიტილენის მოქალაქეთ არა იცოდნენ-რა მომხდარ ამბის შესახებ და უფრო ეს ახალგაზრდათა და მწყემსთა წაკინკლავებამ გამოიწვია, ძლიერ სწუხდენ მეტიმნიელნი და სინანულს გამოსთქვამდენ, რომ ვერ აიცილეს თავიდან და სრულიად უმიზეზოდ გამოუცხადეს ომი, მეზობელ ქალაქს ეხლა კი მხოლოდ ერთი სურვილი-და ასულდგმულებდათ—დაებრუნებინათ უკანვე დავლა, აღედგინათ ძველი მეგობრული განწყობილება ორივე ქალაქ შორის ზღვასა და ხმელზე. ჰიპასმა აახლა გზირი მეტიმნიელთ, თუმცა როგორც ლაშქართ უფროსს, განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა მინიჭებული. იმავე დროს ათ სტადიაზე მიუახლოვდა მეტიმნას და პასუხის მოლოდინში ქალაქის განაპირას დაბანაკდა. ორი დღის შემდეგ დაბრუნდა წარგზავნილი კაცი და მოიტანა პასუხი—მიეღოთ დავლა და მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ. მიტილენიელთ, როგორც უფრო მშვიდობის მოყვარე ხალხმა, ზავი არჩიეს.

3 ისევ მოულოდნელად დაბოლავდა მათ შორის ატეხილი ომი, როგორც დაიწყო. ზამთარი დადგა—დაფნის და ქლოიასთვის უფრო საშინელი მტერი—ვიდრე ომი. გზები და სოფლები ისევ დაფარა ნამქერ თოვლმა, რომ ყველა სახლში მოემწყვდა და გარეთ გამოსვლას ვერა ბედავდა. ნიაღვარი მოსკდა მთებიდან, მდინარენი გაჰყინა, ხეები თეთრად გადაპენტა. დედამიწას თეთრი საბურველი გადაეკრა და მხოლოდ წყაროთა ნაპირები მოჩანდნენ მიწის ფრად. სახლში მოემწყვდა საქონელი და კარის ბჭეს ვერა სცილდებოდნენ მწყემსნი. მამლის ყივილზე ყველა დიდ ცეცხლს შემოუსხდებოდენ: ერთი ბაწარს ართავდნენ, მეორენი რაღაცას ჰქსოვდენ თხის ბალნიდან და კაკანათს უგებდნენ ჩიტებს. ერთი საზრუნავი ღა დარჩენოდათ: ხარისთვის თივა—ბზე დაეყარათ ბაგაში, ცხვარ თხისთვის ნეკერი ფარეხში და ღორებისთვის კი წიფელი და რკო გეჯაში.

4. მწყემსებსა და მიწის მუშათ კიდეც ესიამოვნებოდათ უნებური ტყვეობა. დაისვენეს, კარგსა სვამდენ და სჭამდენ, ბევრი ეძინათ. არც ზაფხული, არც შემოდგომა და გაზაფხულიც კი არ ასიამოვნებდა და არ ახალისებდა ისე, ვით ზამთარი. დაფნისსა და ქლოიას ვერ დაევიწყებინათ დაკარგული ნეტარება: ხვევნა-კოცნა, საერთო საუზმ სადილები. თეთრი თვალით ათევდნენ მთელ ღამეებს და მოუთმენლად ელოდნენ გაზაფხულს, რომელიც სრულ ბედნიერებას მიენიჭებოა და ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა მათ არსებას. გული უკვდებოდათ, როდესაც სამგზავრო ჩანთას შეახებდენ ხელს, როდესაც მათარას მოჰკრავდნენ თვალს, რომლითაც ერთად სვამდნენ წყაროს ცივ წყალს და უკვე მიყუჩებულ—მიტოვებულ სტვირს—სიყვარულის ჯილდოს. ფერიათ და პანს ევედრებოდნენ, რომ ჩქარა მოებრუნებინათ გაზაფხულის მზე და ბოლო მოღებოდა ნათს ტანჯვასაც ასეთ მუდარებაში ატარებდნენ დროს და საპოემო შემთხვევას ეძებდნენ; ქლოიას სულ არ შეეძლო სახლიდან გამოსვლა, რადგან ერთი წუთით არ ჰქონდა მოცალეობა დედობილის წყალობით: მატყლის დართვას ასწავლიდა ჯარა თითისტარზე და სულ გათხოვებაზე ემუსაიფებოდა. დაფნისი უფრო თავისუფლათ გრძნობდა თავს. ქლოიაზე უფრო მეტად მოცლილმა შემდეგ ხერხს მიმართა რომ ერთი თვალი მაინც მოეკრა მისთვის

5. დრიასის ეზოს ღობეს მირსინი და ფათალო აჰყოლოდნენ ერთი მეორეს. ორ მირსინს შორის ამოსული ფათალო ისე ჩაჰხვეოდა გულ-მკერდში, რომ საგანგებო ხატვანი ეგონებოდა კაცს ნაყოფი ყურძნის მტევნებივით ვამოიცქირებოდა ფოთლებში; რადგან სუსხიანი და მკაცრი ზამთარი იყო და სხვაგან ვერსად ეშოვნათ საზრდო, ჩიტების მთელი ჯგრო დაჰხვეოდა ფათალოს მტევნებს; აუარებელი იყო ნამგალა და ჩხართვი, მტრედი და შოშია და სხვა მრავალი ფრთოსანი, რომელთაც ისე გაგიჟებით უყვართ, ფათალო დაფნისმა ნადირობა მოიგონა ქლოიას შესახვედრად. თაფლის ცომით სავსე ჩანთა, მახე-კაკანათი და სხვა ხელსაწყო წაიღო თან, რომ ეჭვი არ შეჰპაროდა ვისმე მის განზრახვაში. ახლად მოსული ფიფქი უძნელებდა სიარულს, მაგრამ შეყვარებულთ ხომ ვეღარაფერი აფერხებთ —ვერც წყალი, ცეცხლი და ვერც სკვითის თოვლ-ბუქი.

6. დაუსვენებლად მივიდა დრიასის ეზომდე. თოვლი დაიბერტყა, კაკანათი დააგო, წებოთი გაფისა გრძელი შტოები იქვე ახლოს ჩამოჯდა და დაუწყო ლოდინი ჩიტებს და... ქლოიას. ჩიტები სულ ჩქარა მოფრინდენ, იმდენი გააბა მახეში რომ დაკვლას ვეღარ ასწრებდა. მაგრამ ეზოში კი არავის ჰაჰანება არ ისმოდა; არ მოჩანდა არც ქალი, არც კაცი, არც მამალი და არც ქათამი. აღარ იცოდა—რა ექნა დაფნისს და თვის უბედობას სწყევლიდა. დიდხანს იდგა კარებ წინ და ვერაფერი მოიმიზეზა, რომ სახლში შესულიყო:

— ეთქვა, მოვედი გასათბობადო, მაგრამ სხვა მეზობლები ხომ უფრო ახლოს იყვნენ? პური მშიაო, მაგრამ ჩანთა რომ სავსეა საგზლით? ღვინო შემოგვაკლდაო, არც ამას დაუჯერებდნენ, რადგან დიდი დრო არ იყო გასული რთველს შემდეგ! მგელი დამედევნა—ესეც სიცრუე იქნებოდა, რადგან კვალი არ სჩანდა. ჩიტების დასაჭერად წამოვედი, მერე და რატომ შინ არ დაბრუნდები ნადირობის შემდეგ? ქლოიას ნახვა მსურს,—მერე და როგორ გამოუტყდე მის მშობლებს, ყოვლის უმიზეზოდ დაურაკუნებ კარებს. არა ეს ნამეტანი იქნება და ეჭვსაც აიღებენ. უკეთესია, ისევე უჩუმრად დავბრუნდე სახლში. გაზაფხულზე ვნახავ, რადგან ვგრძნობთ, რომ ამ ზამთარს ბედი არ მწყალობს.

ასე ბჭობდა ჭაბუკი, მოკრიბა ჩიტები და ის იყო სახლისკენ გაემართა, რომ შეებრალა სიყვარულის ღმერთს და აი რა მოხდა.

7. დრიასის შინაურები სუფრას შემოსხდომოდნენ. ხორცი გარიგებული იყო, პური უხვად მოეტანათ სუფრაზე, ღვინო უკვე ჩამოერიგებინათ ფიალით, რომ ერთმა ძაღლმა დრო იხელთა, ეცა ხორცის დიდ ნაჭერს სუფრაზე და გავარდა გარეთ.

გაბრაზებულმა დრიასმა ჯოხს დაავლო ხელი და ძაღლს გამოეკიდა, რადგან სწორედ მისი წილი მოიტაცა.

# საქართველო.

**კ ი თ ხ ვ ა.**

რა ქვეყანაა ეს მხარე, მითხარით თქვენი სულისა,
ასე ტურფა და ლამაზი, დამატკბობელი გულისა;
ბუმბერაზ ამაყი მთებით ცის გუმბათივით შეკრული,
და ზამთარ ზაფხულ უჭკნობი ვარდ ყვავილებით შემკული!

**პ ა ს უ ხ ი.**

ეს კუთხე საქართველოა გულ-მკერდზე ლახვარ სობილი,
ათასჯერ მტრისგან მოკლული, ისევ ათასჯერ შობილი.
ეს სამშობლოა რუსთველის, ნახეთ და დაიარენით,
მისი სიტურფე მშვენებით დასტკბით და გაიხარენით!

**პ. ოდიშელი**

---

...ღვდელ-მთავრები მეცადინეობდენ, რომ შეერჩინათ. მერმე და მერმე კი ისინიც მოუძლურდენ და მიზეზიც ისაა, რომ ქართ. საეკლ. გალობა მოსპობის კარებს მადგია...

ბ. ფოცხვერაშვილმა, ამ დღეს სხვათაშორის ფონოგრაფით, სიმღერა „შავი შაშვი“-ც აგალობა, როგორც ერთი თვალსაჩინო ნიმუში ჩვენი ხალხის ჰარმონიათა გენიოსობისა. თანაც დასძინა: ამ სიმღერას თავისი ტექსტის მიხედვით სხვა და სხვანაირათ ხსნიანო და ერთა ახსნა ხალხთა თქმულებით ასეთიაო: მგალობელი შაშვი თავის ბარტყებს გალობას ასწავლის და როცა მათ შეეშლებათ, თვით დედა შაშვი უსწორებსო.

არ იქნება ურიგო, ამ თქმულებას შემდეგი ახსნაც დავურთოთ:

მგალობელი შაშვი ხეზე იჯდა და გალობდა მშვენიერი კრიმანჭულით; ამ დროს მას თავს წააწყდა ტყეში მონადირე ძაღლი ძაღლმა ძალიან კარგათ იცოდა, რომ ის შინაური წიწილი არ იყო, შეხედა და გაბრაზდა, გული მოუვიდა, რომ ასე თავხედურათ და უშიშრათ აბამდა კრიმანჭულს, კრიმანჭულზე. შაშვი მაღლა იჯდა და მონადირე ძაღლს მაზედ პირი არ მიუწვდებოდა. დაბლიდან დაუწყო მას ყეფა; სწორეთ, ისე, როგორც კატას შეაგდებს ძაღლი ხეზე და შემდეგ უყეფს. ამ სიმღერაში ბანი გამოხატავს ძაღლის ნამდვილს ყეფას, სადაც ასეა სიმღერაში სათქმელი ბანი: ამუ, ამუ, ამუო*)

როგორც ბ. კ. ფოცხვერაშვილის შემოქმედებამ ამირანზე თქმულება გადაქნა მუსიკაზე, ისე ეს შაშვისა და მონადირე ძაღლის მდგომარეობა გარდაქმნა ქართველთა მუსიკალურმა შეგნებამ, გენიამ სიმღერათ, რომელიც მართლაც საუკეთესო ნიმუშია მუსიკათა შეგნების.

ამ სიმღერის ტექსტი კი ასეთია:

შავი შაშვი ჩიოდა, უხუცესი მთავარი,
მთები დაუთოვია, გზა არსით მაქვს სავალი,
სურო სადმე ვიცოდი, ზედ მახენი მრავალი,
ვაჰ! თუ შევჯდე, გავება-სული წავა მთავარი.

ეს სიტყვები გალობის ხმაზედაც არის გადაკეთებული და გალობდენ ვინაც იცოდა.

ამ სიმღერას და სხვას მსგავსსავე, ღიღინს ეძახდენ; ხალხში არ იყო გავრცელებული, არამედ შეადგენდა მხოლოდ მგალობელთა კუთვნილებას. როცა გალობის მოლხენით გაჯერდებოდენ და კოტათი შეღვინიანდებოდენ, მერმეთ ამგვარ ღიღინებს მოყვებოდენ, რომელთა რიცხვი მრავალია.

მე მახსოვს, რომ „შავი შაშვი“, „ინდი მინდი“, „ღიღინის ხელხვავი“,*) და მსგავსი ღიღინები მარტო ანტონ დუმბაძემ, დათა გუგუნავამ და მათთან ახლო მდგომ მომლხენ მგალობელთა იცოდენ მხოლოდ და მომსმენნი ყოველთვის შენატროდა, როდის შევისწავლიო, მაგრამ, რადგან ხშირათ ესენი ვერ ხვდებოდენ ერთმანეთს და მათ ხშირათ ვერ ყურობდენ ვისაც შესწავლა უნდოდათ, ამიტომ სურვილი შესწავლისა, სურვილათ რჩებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს თუ რამოდენიმე შეისწავლეს, ბევრიც მიწაში ჩაყვათ, იმ პირველ მცოდნეთ.

**მღვდელი რ. ხუნდაძე.**

*) ეს სიმღერა ერთხელაც განსვენებულ ქორიქეს დავაწერინეთ ნოტებზე: მე, ჭალაგანიძემ და წერეთელმა. ამ სიმღერას ქორიძემ მონადირის სიმღერა დაარქვა. **რ. ხ.**

*) ეს ხელხვავი, ის კი არ არის რომელსაც ახლა მღერიან. ეს სულ სხვაა და მართლაც საუცხოვო საყურებელია, თავისი ორიგინალობით. **რ. ხ.**

---

# ახალი ამბავი.

ხუთშაბათს 10 ნოემბერს დილის 11 ს. ქუთაისის ქალთა უფასო შკოლის შენობაში გადახდილი იქნება შკოლის 50 წ. საიუბილეო პარაკლისი, შკოლის გამგეობა მოუწოდებს ყოფილ მოწაფეებს დაესწრონ ამ პარაკლისს.

✦ მთავარნებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

✦ სახალხო შკოლების დირექტორმა ბ. ვიშნევსკიმ, ნება დართო კ. მკურნალს პირველი ნოემბრიდან გახსნას ქალაქ ქუთაისში უმაღლესი პირველდაწყებითი ტიპის კერძო სასწავლებელი.

✦ მეორე რაიონის სახალხო შკოლების დირექტორი, რომელიც სარევიზიოთ პროვინციებში იყო წასული ქუთაისს დაბრუნდა.

✦ შაბათს 5 ნოემბერს სახალხო შკოლების დირექციაში დანიშნულია სახალხო შკოლების ინსპექტორთა კრება, სხვა და სხვა საშკოლო საკითხების გამოსარკვევად.

✦ ახალი აქციზი ღვინოზე. გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული დებულება ღვინის აქციზზე. თანახმად ამ დებულებისა ვედრო ღვინოზე დაწესებულია 4 მ. და 80 კ.

✦ ამ ჟამად ქუთაისში შემდეგი რაოდენობის სურსათ სანოვაგე არის: სიმინდი 30666 ფუთი, პურის ფქვილი 1483 ფ., კრუპა 159 ფ., ბრინჯი 846 ფ., საკლავი საქონელი 113 ფეხი, ქართოფილი 1898 ფ., სამარხვო ზეთი 5 ფ, თევზი 13 ფ., მარილი 8154 ფ., ზეთი 1920 ფ., ქატო 1194 ფ., შეშა 270 ვაგონი, ნახშირი 1850 ფ., ნავთი 2883 ფ., ასანთი 31052 ათეული. საპონი 164 ფ., თივა 240 ფ.

✦ 15 ოქტომბრიდან—30-მდე რკინის გზით შემოუტანიათ პურის ფქვილი 17 ვ. სიმინდი 21 ვაგ., ქართოფილი 8 ვაგ., ლახანა (კომბოსტო) 5 ვაგ., მარილი 8750 ფუთი. ნავთი 3050 ფ., შეშა 27 ვაგონი,

✦ თუ რომელ ვაჭარს რამდენი ფუთი სანოვაგე აქვს ამ ჟამად ქუთაისში: პურის ფქვილი: ოვონეს ჩოროდვიანცს 100 ფ., ქრისტ. ნიკოლაიდის 100 ფ., პეტროს ჩოროდვიანცს 120 ფ., მამედ ხანჯიოღლის 100 ფ., და გიორგი მატიკიანცს 100 ფ., სიმინდი; მიხ. რუხაძეს 2000 ფ., ერმილე ეფრემიძეს 1000 ფ., ბეგლარ რეკავას 300 ფ., ანტონ ხეცურიანს 18000 ფ., გიორგი ასათიანს 700 ფ., გერმანე სულაბერიძეს 500 ფ, დიმიტრი ნატბილაძეს 800 ფ., მარილი: ლუკა ზვიადაძეს 500 ფ., არსენ ზოზუაშვილს 500 ფ., გიორგი ასათიანს 600 ფ. ქართოფილი: გიორგი ტყეშელაშვილს 1200 ფ., ასანთი: ბასილაძეს და კილასონიას 20,000 ათეული, გიორგი ასათიანს 1200 ათეული, ვარლამ ახვლედიანს 7500 ათ., ნავთი ნარსიას და ამხ. 2000 ფუთი.

✦ ოსური ყველი ამ უკანასკნელ ხანებში დიდ-ძალი ყველი შემოიტანეს ოსებმა ქალაქში. აღსანიშნავია, რომ ოსები ყველს ნიხრზე ზევით ჰყიდიან. ამ ჟამათ ადგ. ბაზარზე ყველის ნიხრი არის გირ 50 კ. და ოსები კი 60 კაპ. ჰყიდიან. როცა მათ დაეკითხები თუ რატომ ჰყიდიან ასე ძვირად ყველს, პასუხად მიიღებთ რომ გამგეობამ ნება დაგვრთოვო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

✦ შუამდგომლობა. ს. ხიდისთავის (ოზ. მ.) მცხოვრებნი: მარიამ ანდღულაძე, კალისტინე კალანდაძე, ეკატერინე ბერიძე, გოგოლი ბერეჟიანი და მირიამ მესხი შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ რომ დაარსონ ს. ხიდის-თავში ქალთა საზოგადოება.

✦ უვარგისი პური. გუშინ ქალაქის ქიმიური-ლაბორატორიის გამგემ ანალიზი გაუკეთა სამსონ გოშაძის პურის სიცხობში გამომცხვარ პურს, რომელიც ნახევრად ცომი აღმოჩნდა. გოშაძე პასუხის გებაში მისცეს.

✦ უვარგისი რძე. დიმიტრი შავგულიძის საკანდიტეროში გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ აღმოაჩინა წყალ ნარევი რძე, რისთვისაც შავგულიძეს ოქმი შეუდგინა.

✦ გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქალაქის სასურსათო კომისიის მიერ შედგენილი ახალი ნიხრი სურსათ სანოვაგეზე, რომელიც ამ თვიდან შევა ძალაში.

✦ მწვანე-ყვავილაში ქურდობა გახშირდა. ისე ღამე არ გაივლის, რომ რომელიმე პირს სახლი არ გაუტეხონ. 30 ოქტომბერს ღამით, გიორგი ყუფარაძის სახლში შეპარულან რამოდენიმე ქურდები, აურჩევიათ სხვადასხვა საოჯახო ნივთები, შეუკრავთ წასაღებათ, მაგრამ ეს გაუგია სახლის პატრონს და ქურდებიც ხელ ცარიელნი გაქცეულან.

✦ ახალი გზა მწვანე ყვავილაზე, ქალაქის თვითმართველობის დახმარებით მცხოვრებლებს გაჰყავთ გზა. ამ გზის გაკეთება აღებული აქვს იჯარით სპირდონ კიკაბიძეს. იგი თურმე მუშებს უდიერად ეპყრობა. გუშინწინ მას ნიჩბით თავი გაუტეხია ერთი მუშისათვის, რომელიც ისე მძიმეთ დაშავებულა, რომ საავადმყოფოში წაუყვანიათ.

✦ ებრაელების უბანში, მცხოვრებთაგან ბინძურდება მდ. რიონის პატარა შტო, რომელიც ჩამოუდის ებრაელების უბანს. იგი ხელს უწყობს სხვადასხვა გადამდებ სენის გავრცელებას. ამის გამო ქალაქის სასანიტრო ექიმმა, ქალაქის გამგეობაში შეიტანა წინადადება, რომლითაც ითხოვს, რათა ქალაქის გამგეობამ [illegible] შტოს დასაშრობად [illegible] მცხოვრებლებს არაფერი აქვთ და აუცილებელიცაა ამ უბანში სისუფთავის დასამყარებლად.

---

### ზეცდომის გასწორება.

გუშინდელ ფელეტონში (იხ. სამშობ. № 475) გვ. 2 სვეტი მე-5 სტრიქონი 18 დასტამბულია „ბეჭედი აზრის“ უნდა იყოს ბეჭედი აზის გვ. 3 სვეტი ფელეტონის 3 სტრ. 1 „ხალისი ინდივიდუალისტური“, უნდა იყოს ხალასი ინდივიდუალისტური.

---

### სოფლად და ქალაქად.

— დ. სამტრედიაში პურის ნაკლებობაა; ამის გამო სამტრედიის საქვ. საზოგადოების რაიონული განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას, რათა დაუთმოს 2 ვაგონი ფქვილი, იმ 14 ვაგონიდან, რომელსაც მთავარი გამგეობა ამ დღეებში მიიღებს.

— ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ანგარიშის მასწავლებლად დაინიშნა ყაზანის აკადემიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი ხელიძე

— კიწაის (სამეგრელო) პირველ დაწყებითი შკოლა გადაკეთდა უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლად.

— სოფელ ჭუდისკარში. (ზუგდიდის მაზრა) 14 ოქტომბერს ნესტორ ბიგვავა და ამირან მალაზონია, გზაში დახვდენ თევდორე კაკაჩიას, წაართვეს 100 მანეთი, ვერცხლის ქამარი, და მიიმალენ. პოლიციამ ძიების შემდეგ დააპატიმრა ერთი მათგანი ბიგვავა, რომელსაც აღმოაჩნდა წანართმევი ნივთები.

---

## უწესრიგობა აბანოში.

მართალია, ქუთაისი ჯერ კიდევ მოუწყობელი ქალაქია და კიდევ ბევრი დრო გაივლის მის ნორმალურად მოწყობამდე, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ აბანო—ეს ერთად ერთი წყარო ადამიანის სისუფთავისათვის, ანტისანიტარულ წესს გარდა, უწესობას მაინც ვერ აიცილებდა თავიდან. აბანოში შესვლისთანავე თქვენ უპირველეს ყოვლისა ადამიანის უპატივცემლობას განიცდით; ან რა პატივისცემა იქნება დაცული იქ, სადაც აბანო სართსკიპო სახლად გაუხდიათ და ათასი ვიგინდარა გარყვნილი პირი დაიარება. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ თვით შიგ აბანოში მოსამსახურე პირები ხელს უწყობენ ასეთ სისაძაგლეს და ადამიანის ხორცით ვაჭრობას ხელმძღვანელობენ.. რასაკვირველია, ყველა ამას თავის სარგებლისათვის სჩადიან, რომ ზედმეტი გროშები ჩაიჩხრიალონ ჯიბეში და იმ პატიოსან ადამიანებს, რომელნიც საბანებლად მისულან აბანოში, ორი სამი საათით აცდენინებენ რიგს და მერე სთავაზობენ იმ ნომერს, სადაც გარყვნილებას ჰქონდა ადგილი. საბანაოდ მისულნი იძულებულნი ხდებიან უკანვე გაბრუნდნენ სახლში. ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ მეაბანოეს უბრალო ფიცარი ვერ გამოუკრავს, რომ მიმსვლელმა გაიგოს რა ფასიან ნომერში შედის. ხშირად იხდის ნომრის ფასად რვა აბაზს და მანეთიან ნომერში კი ამოაყოფინებენ თავს. ზეწრის ხელახლად გარეცხვა-გაშრობაზე ხომ არავინ ზრუნავს ერთი ნომრიდან გამოტანილ ზეწარს გაურეცხავად გაფენენ, გააშრობენ და ახლა სხვა მუშტარს მიართმევენ. ამ მხრივ ხომ გამკითხავი პატრონი არავინაა და ან ვინ იქნება იქ სადაც ზემო დასახელებული სისაძაგლე უმაღლესად განვითარებულია. ჩვენ ვაფრთხილებთ თეთრ ხიდთან არსებულ აბანოს მოიჯარადრეს მოსპოს ეს უწესობანი, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი პატიოსანი ადამიანი ფეხს არ შედგამს იქ.

ამასთანავე მივაქცევთ ვისაც ჯერ არს იმის ყურადღებას, რომ საზოგადოთ აბანოების წესრიგსა და სანიტარულ მდგომარეობას სათანადო თვალ-ყური ადევნოს.

**ივერია.**

---

დრიოსმა ეკალღიჭოს ჩაუარა გვერდით და შენიშნა დაფნისი, რომელიც ნანადირევით ხელში სახლში წასვლას ეპირებოდა; შეჩერდა ყველაფერი დაავიწყდა: ძაღლი, ხორცის ნაჭერი და ხმამაღლა დაუყვირა დაფნისს: „გამარჯობა, შვილობილო!“ გულში ჩაიკრა, მხურვალედ გადაჰკოცნა და სახლში მიიწვია ერთმანეთის ხილვით აღელვებულნი კინაღამ უგრძნობლად დაეცნენ დაფნისი და ქლოია. თავს ძალა დაატანეს, მიესალმენ ურთიერთს, გადაეხვნიენ და ამით, თითქო ანუგეშეს ერთმანეთიო, შეიმაგრეს თავი!

8. ბედნიერი დაფნისს ნახვის იმედი არა ჰქონდა, არამც თუ გადაეხვევოდა და დაეკოცნა გრძნობით; ბარგი მოიხსნა, დაწვრილებით უამბო, რომ მოსწყინდა მარტო სახლში ჯდომა და სანადიროთ წამოვიდა, აუარებელი შოშიები დაიჭირა, მახეკაკანათით და წებოთი გაფისული შტოებით და თან სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მათი გაუმაძღრობა, რომ ისე გაგიჟებით უყვართ ტკბილეულობა. ძლიერ შეაქეს დაფნისი, რომ საზამთროდ ერთი გასართობი მოუგონია და პიიწვიეს. ღვინის დასხმა სთხოვეს ქლოიას, რაც სიხარულით შეასრულა. ჯერ სხვებს უმიახლა ქლოიამ და უკანასკნელად დაფნისს მიართვა და აგრძნობინა, რომ ემდურის-მის უნახავად რო ბრუნდებოდა სახლში. და სანამ ფიალას დაფნისს მიუტანდა, მანამდე ოვითონ მოსვა და ტუჩები დაისველა ღვინოში და თუმცა ძლიერ სწყუროდა დაფნისს მაინც ნელნელა წრუპავდა, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო მისი ნეტარება.

9. პური და ხორცი ანაზდად შემოილია სუფრაზე. მირტალისა და ლამონის შესახებ დაუწყეს გამოკითხვა დაფნისს და ბედნიერათ სთვლიდენ, რომ მოიმედე შვილი წამოესწროთ სიბერის ჟამს. ასეთი ქება-დიდება მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა დაფნისს, რომ ქლოია ისმენდა. და, როდე, საც მეორე დღემდე აღარ გაუშვეს სახლში რადგან ბახუსს მსხვერპლსა სწირავდენ, სიხარულით გადარეულმა დაფნისმა კინაღამ თვით მასპინძლები მიიჩნია ღმერთად. იმ წუთას ამოალაგა ჩანთიდან თაფლის პურები და ნანადირევი ჩიტები მოამზადეს ვახშამი. ფიალა ხელახლა შეამსეს ღვინით ფიჩხი შეუმატეს ცეცხლს და განათდა იქაურობა, შებინდებისას ხელმეორედ შემოუსხდენ სუფრას. შაირ-ლექსობაში სწრაფად მიფრინავდა დრო შემდეგ კი დასაძინებლათ წავიდნენ ქლოია და დედობილი ერთად და დაფნისი კი დრიასთან ქლოიას მხოლოდ ერთი რამ ახარებდა, რომ მეორე დღეს კვალად იქ იქნებოდა დაფნისი. დაფნისს კი ის მიაჩნდა დიდ ბედნიერებათ, რომ ქლოიას მამობილის გვერდით გაატარებდა მთელ ღამეს; მძინარე გულში ეხუტებოდა მოხუცს, ნაზადჰკოცნიდა და ფიქრობდა, რომ ქლოიას ეხვეოდა და ჰკოცნიდა.

10. სუსხიანი დილა გათენდა. ცივი ქარი სახეს ულეწავდა ადამიანს, დილით ადრე ადგნენ და მოზრდილი ციკანი შესწირეს ბახუსს, გააჩაღეს დიდი ცეცხლი და შეუდგნენ ქეიფს. ნაპე რო პურს აცხობდა და დრისი ციკანს წვავდა ცეცხლზე, დაფნის ქლოიამ დრო იხელთეს და ასკილის ბუჩქს მიაშურეს ეზოში. აქ კაკანათი და მახე დაუგეს ჩიტებს, წებოთი გაგლესილი ჩხირები და ბევრი ფრთოსანი დაიჭირეს და გამოასალმეს წუთი სოფელს, თან და სასრული არ ეძლეოდა ხვევნა-კოცნას და ტკბილ ბაას.

— მე ხომ შენ სანახავად მოვედი, ქლოია!

— ვიცი, დაფნის.

— შენი მიზეზით ამდენშოშიას ვასალმებ წუთისოფელს, ქლოია.

— რა გინდა ჩემგან, საყვარელო დაფნის?

— ნუ დამივიწყებ!

— აკი დაგიფიცე, რომ არ დაგივიწყებ და მოწმად ამავე გამოქვაბულის ფერიანი დავიმოწმე, სადაც დავბრუნდებით გაზაფხულზე.

— როდის, მერე როდის ვეღირსებით იმ ნეტარ დროს! ხედავ, რა ნამქერებია. მეშინიან, ვაი თუ თოვლზე ადრე მე დავდნე.

— გამაგრდი, დაფნის. მზეს უკვე ემატება სიცხოველე.

— ოჰ, ქლოია, რა კარგი იქნებოდა, რომ მზეც ისეთი მცხუნვარე იყოს, ვით ჩემი გულის ცეცხლი, რომელიც მწვავს და მდაგავს!

— შენ დამცინი, დაფნის, ჩემი მოტყუება გინდა.

— ნუ, ნუ ამბობ მაგას, გაფიცებ იმ თხებს, რომლებზეც შენ თვითონ დამაფიცე!

11. ქლოია ჩურჩულით ემუსაიფებოდა დაფნისს, როდესაც ნაპემ მოუწოდა მათ. აურაცხელი ნანადირევით მობრუნდნენ დაფნისი და ქლოია. ბახუსისადმი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ისადილეს, ფათალოს გვირგვინი დაიდგეს თავზე. დრომ მოაწია. მადლი შესწირეს და ევოეს ჰიმნი უგალობეს ბახუსს, დაფნისიც გაისტუმრეს შინისკენ. პურით და ხორცით გაუმსეს ჩანთა წასვლისას, თან გვრიტი და შოშია გაატანეს დიამონ მირტალოს ძღვნად, იმ იმედით, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში, სანამ ფათალოს ნაყოფი ასხია, მანამდე კიდევ ბევ ს დაიჭერენ. გამოთხოვებისას რიგრიგისად ყველა გადაჰკოცნა დაფნისმა უკანასკნელად ქლოია, რომ წმინდად. და წაუშლელად შერჩენოდა ტუჩზე მისი კოცნა. ამ დღიდან ხშირად გამოსძებნიდა დაფნისი რაიმე მიზეზს, რომ ქლოია ენახულა და მთელი ზამთარი მასთან ტრფიალში გაატარა.

12 გაზაფხულზე, როდესაც თოვლმა დნობა იწო და ველმინდორი აბიბინდა მწვანედ, მწყემსებმაც გამორეკეს ცხვარი ფარეხიდან; ყველაზე უწინ კი, ვით დიადი მწყემსის მსახურთ-დაფნის ქლოიამ. პირველადვე ფერიათა გამოქვაბული, მოინახულეს შემდეგ ბანი და ბოლოს მუხა რომლის ფესვებზე ჩამომსხდარნიც ფარას ადევნებდნენ თვალს და ერთმანეთის ალერსში ატარებდნენ დროს. შემდეგ ყვავილებს დაუწყეს ძებნა და კრეფა, რომ გვირგვინი დაეწნათ ღმერთებისათვის. თითო-ოროლა ყვავილი მოსჩანდა აქა-იქ მყუდროებში: ია, შროშანა ნარგიზი და გაზაფხულის სხვა ადრეული ყვავილები. დაფნისმა მოწველა ცხვარ თხა, ღმერთთა ქანდაკებანი დაამშვენეს გვირგვინით და სალამურიც ააკვნესეს, თითქო ბულბულთ გამოფხიზლება სურდათ ღრმა ძილიდან. ისინი კი უიმათოდაც ჰყეფდნენ უკვე ჭალაში თითქო დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დავიწყებულ საგალობლებს იგონებენო და ქებას ასხავდნენ ღმერთა იტისას.

**გ. შუმლაძე.**

(შემდეგი იქნება).

სამშობლო

## პროვინციის ცხოვრება.

**სვირი** (ქუთ. მაზრა). აგერ ორი თვე იქნება რაც სვირის სადგურზედ სამკითხველო გახსნეს. მაგრამ ბ-ნი გამგე თუ მშვიდობით გვეყოლა, სვირის სამკითხველოს საქმე ჩინებულათ წავა. გაზეთები ორი აქვთ გამოწერილი, „საქართველო" და „თანამედროვე აზრი" და იმათაც ვერ ნახავთ სამკითხველოში. სუყველა მედუქნეებს მიაქვთ თავისთვის. საჭიროა პატივცემულმა გამგემ მეტი ენერგია გამოიჩინოს.

მეთვალყურე.

## რუსეთი.

ხერსონიდან „რუს. სლ". სწერენ, რომ იქ ნავთის დიდი კრიზისია. ქალაქში ნავთის ფარნებს აღარ ანთებენ.

— —

ნიჟნი-ნოვგოროდიდან ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ადგილობრივ პროკურორს ჩერნიავსკის ნობელის და მაზუტის ფირმებისათვის საქმე შეუყენებია. მათ სპეკულიაციას აბრალებენ.

— —

კავკავიდან სწერენ „რუს სლ". რომ იქ ფეხსაცმელის გაყიდვის სპეკულიაციის გამო მილიონერები, ძმები ზიპალოვები სამი თვით ციხეში დაუმწყვდევიათ.

— —

ბლაგოვეშჩენსკიდან იწერებიან, რომ აქაურ სამხედრო სასამართლოს ორი დამნაშავესთვის გალიშევს და მუხამეტოვისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია; მათ ბრალს სდებდენ სალდათის ცოლის ბურთვოის და მისი 4 და 6 წლის ბავშვების მოკვლაში.

— —

სოჩიდან „რუს. სლ". ატყობინებენ, რომ იქ შემოდგომის სეზონი ძრიელ კარგად მიმდინარეობსო. მშვენიერი თბილი და მზიანი დღებიაო, დიდ ძალი ხალხია ჩამოსულიო. და ბევრი ზღვის და მზის ვანებს .იღებსო.

— —

შინაგან საქმეთა მინისტრს „კავკ. სლ" სიტყვით, განკარგულება მოუხდენია, რომ ბეჭდვითი სიტყვის უფროსმა სატახტო ქალაქების და ზოგი პროვინციიდანაც გაზეთების რედაქტორებთან ხშირად თათბირი იქონიოს საჭიროა, რომ გაზეთების საშვალებით მართალი ცნობები გავრცელდეს ხალხი, როგორც ომზე, აგრეთვე შინაურ ცხოვრებაზე. აგრეთვე აუცილებელია, რომ ხალხმა სურსათის ნაკლებაში სტიქური, ომით გამოწვეულ მიზეზებს ხედავდეს და არა პიროვნულ ბოროტ სურვილს.

— —

ვაჭრობის სამინისტროში კანონპროექტს ამზადებენ, რომ იანვრიდან კომერციული სასწავლებელი ვლადივასტოკში პოლიტეხნიკუმათ გადააკეთონ. ამ პოლიტეხნიკუს ჯერჯერობით საშვალო სასწავლებლის უფლება ექნება და მხოლოდ მერმისში გადავა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვში.

— —

როსტოვში საუნივერსიტეტო კომისიაში ახლად ჩამოსული პროფესორი ტიაპკინის თავმჯდომარეობის სხდომა და თათბირი შემდგარა გზათა ინჟინერების ინსტიტუტის გახსნის თაობაზე. ქალაქს თავის მხრით აღუთქვამს ინსტიტუტისათვის მიწა, 600 ათასი მანეთი ფულათ და აგრეთვე პროფესორებისათვის და სტუდენტთა ბინებისათვის ცალკე ადგილი.

— —

მთავრობას გარდაუწყვეტია უფლება მისცეს ცეცხლიდან დაზღვევ საზოგადოებათ არ გადიხადონ ის ზარალი, რომელიც დაზღვეულ მამულს ან ქონებას ომის გამოისობით მოუვა.

## უცხოეთი.

არაბეთში შერიფათ არჩეულმა ჰუსეინ ბენალიმ გარეშე საქმეთა მინისტრათ აბდულა დანიშნა უკანასკნელმა შეთანხმების სახელმწიფოებს დეპეშით მიმართა: იგი თხოვს მათ, რომ არაბეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ იყოს გამოცხადებული ჰუსეინ ბენ-ალი არაბეთის და სხვა მის მიწების მეფეთ იყოს ცნობილი და იგი შეთანხმების სახელმწიფოთა წევრად იყოს ჩარიცხული.

— —

იმავე დეპეშით სჩანს, რომ არაბთა ყველა კლასის წარმომადგენლებმა ჰუსეინ ბენ ალი სრულიად არაბთა მიწების მეფედ აირჩიეს. სადღესასწაულო ულემთა კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ოსმალთაგან განთავისუფლებული არაბეთი სწავლა განათლებას დაეწაფება და ამაღლდება. ოსმალთა ხელში იგი დაეცა ზნეობრივათ, დამცირდა და მატერიალურ შევიწროებას განიცდიდაო.

— —

დეპეშაში მოხსენებული რომ ჰუსეინ ბენ-ალი სრულიად არაბთა მიწების მეფეთ იქმნა აღიარებულიო ნიშნავს, რომ არაბეთს იმედი აქვს სირია და მესოპოტამია შეიერთოსო.

— —

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა შტიურმერმა ოქტომბერს 25 აბდულას დეპეშითვე გასცა პასუხი, რომ იგი დიდათ მოხარულია კეთილშობილ არაბთა ერის დამოუკიდებულობით და ახალ სამეფოს სიამოვნებით აღიარებს იმ სახელმწიფოთა წევრათ, რომელნიც ამდენიხანია სიმართლისა და კაცობრიობის დამყარებისათვისა იბრძვიანო. („დენ").

— —

„მატენ"-ში ერთი ბერლინიდან დაბრუნებული უცხო პირის შთაბეჭდილებაა აწერილი:

ბერლინი, ამბობს მნახველი, იგივე სუფთა და წესიერების ქალაქია, როგორც იყო, ტირპატენში იგივე სისუფთავე მეფობს. ქუჩებს ხალხის ნაკლებობა ეტყობა. მე, ძველ ბერლინელს, მეუცხოვა, რომ იქ ამერიკელთ ვეღარ შეხვდებით — ომამდი კი ძრიელ ბევრი იყვნენ. უეჭველად პრეზიდენტ ვილსონის ნოტამ იმოქმედა.

მცხოვრებთა ჩვეულებანი არასფრით არ შეცვლილან. რესტორანები ძველებურად სავსეა ხალხით, ზოგს მათგანს კიდევაც გაუფართოებიათ ვაჭრობა. ხალხი, სამხედრო კლასი, დიდკაცობა ზიან, საუზმეს, ან ვახშამს შეექცევიან.

შესანიშნავია ბერლინში ის დაუბოლოებელი ადამიანების წყებათა კუდი პურის ან სხვა სანოვაგის გამყიდავ მაღაზიებთან ეს მყიდველთა დამწკრივება დილიდან დაწყებული საღამომდი ხდება ხუთასი კაცი მაინცაა გაჩერებული რიგში და ყველას სასურსათო ქარტა ხელ-ში უჭირავს. ოთხი, ხუთ საათობით არიან გაჩერებულნი.

ლუდის გამყიდავი დუქნები სავსე ბევრს სვამენ. ჭამენ კი რაცაც უცნაურ ნამცხვარს; არც ერბო და არც რძე მასში არ ურევია. ასეთი შეზავებული გემრიელი არაა, მაგრამ ჭამენ; მეტი რა გზაა. შეცთომაა კაცმა თქვას ბერლინში ცოტას სჭამენო. ცოტას კი არ სჭამენ მაგრამ საჭმელს სინოყიერე აკლია. ამგვარი საჭმელის შემდეგ კაცი სუსტდება; ფეხები უდუნდება.

სასადილოები და ლუდის დუქნები ლუდის და შამპანიურის გაყიდვას ვერ ასწრებენ. ზოგიერთ ალაგს გადამეტებულმა ლოთობამ და ქეიფობამ თავი იჩინა. პოლიციას უნდოდა ალაგ-ალაგ ჩაეშალა ამგვარი თავაშვებულება, მაგრამ ხალხმა წინაღმდეგობა გაუწია. შემდეგ ზოგი გადამეტებული ლოთები დაიჭირეს და ქალაქიდან გაგზავნეს.

— —

მოქეიფეთა შორის ქალებიც ბევრია გარყვნილობა გადამეტებულია. ადმინისტრაცია ვერაფერს ახერხებს. ერთი სიტყვით ბერლინში აქა იქ იმგვარმა თავდავიწყებულმა ლოთობამ და გარყვნილებამ იჩინა თავი, რასაც უწინ მარტო ფრანგებს აწერდენ და პარიზის კუთვნილებათ მიაჩდათ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ ვაუწყო ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების „რეგულიატორის" წევრებს, რომ მე ამ საზოგადოების საქმეებთან არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს, ამიტომ ტყვილად ნუ ელიან ჩემგან პასუხს იმ წერილებზე, რომელსაც პირადათ ჩემს სახელზე გზავნიან და რომელიც „რეგულიატორის" საქმეებს ეხება, აგრეთვე ვთხოვ ყველას შემდეგში ჩემს სახელზე „რეგულიატორის" საქმეების გამო წერილები არ გზავნონ.

ვლ. ემუხვარი.

— —

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი წვლილი (ათი მანეთი) გადაუგზავნოთ დიდათ პატივცემულს და ქველმოქმედს კნეინა ელისაბედ წერეთლისას მათგან აგებულ სანწერის ქალთა სკოლის სასარგებლოთ.

ეკატერინე ივანეს ასული ელიავასი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე**.
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"

გამოცხ...

ბელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

ხელსაყრელია. პირ... ყოველდღე—ივ... ძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

**НОВОЕ ПРИБЫЛЬНОЕ ДѢЛО**

ВНИМАНІЮ ЛИЦЪ,
**ищущихъ побочнаго заработка**
**повсюду нужны**
**лица обоегопола**

для переписки адресовъ торговымъ фирмамъ по 3 р за 100 шт. РАБОТА ПОСТОЯННАЯ Обычныя занятія и разстояніе не препятствуютъ, т. к. это дѣло требуетъ въ день ½ часа времени, и даетъ до 100 р и болѣе въ мѣсяцъ побочнаго заработка. Условія высылаются по полученіи 20 коп. почтовими марками на отвѣтъ. Обращаться письм по адресу: Борисоглѣбскъ, Там. губ. Почтовая №77, А. И. Иванову.

5—



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 | „ |

## სუსუნატი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**" ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

## სუსუნატი

(გონორეი). № 765

თუ თქვენ იტანჯებით სუსუნატით, იმედს ნუ დაკარგავთ!

არის საშუალება **აკოფიანცის კაპსული „ა"**

რომლითაც ყველას შეუძლია განიკურნოს, სრულიად ცოტა ხნის გინმავლობაში. მოწონებულია ბ.ბ. ექიმებისა და სპეციალისტებისაგან, როგორც ახალი რადიკალური და გაუმჯობესებული საშუალება მაგარ და ქრონიკულ სუსუნატის წინააღმდეგ და აგრეთვე ამ სენისაგან გამოწვეულ ყოველ გვარ შედეგების წინააღმდეგ, როგორც არის: შარდის მილის და ბუშტის ანთება, შარდის შეკავება, კვერცხების ანთება, ფეხების, ხელების, ზურგის ხერხემლის ტკივილები და ტეხა. აკოფიანცის **კაპსული „ა"** ნება დართულია პეტროგრადის სამედიცინო საბჭოსაგან № 765-თ. კაპსული „ა" ცნობილია, როგორც უვნებელი ადამიანის ორგანიზმისათვის და იხმარება როგორც **მამაკაცების** ისე **დედაკაცების** სამკურნალოთ.

აკოფიანცის „ა"

კაპსული „ა"-ს ხმარების დროს არ არის საჭირო არავითარი შეშხაპუნება, დაწვა, გამორეცხვა და მილას გაფართოება, აგრეთვე არც კერძო დახმარებაა საჭირო, მხოლოდ საჭიროა კაპსულების ყლაპვა, ასე, რომ ყველას შეუძლია იექიმოს ყოველგვარ პირობებში და მუშაობის დროსაც. აქიმობის დროს არ არის საჭირო რომელიმე საჭმელის დათმობა, მხოლოდ თავი შეიკავეთ მაგარი სასმელებისა და ყოველგვარი ეროტიზმისაგან.

**ჩვენი გარანტია** ტყუილა ნუ ხარჯავთ ფულს, ვინაიდგან თქვენ რამოდენიმე კოლოფის მიღების შემდეგ შეგიძლიათ მორჩეთ. გთხოვთ არ აურიოთ სხვა წამლებში. ყიდვა შეიძლება ყოველ დროს. აფთიაქებსა და აფთიაქის საწყობებს ეძლევათ საგრძნობი „სკიდკა".

**წინასწარ 3 მანეთის მიღებისთანავე** გამოგეგზავნებათ ფასდადებულ ამანათით. წამლობის სრული კურსი 5—8 კოლოფამდე.

**ფასი**: 1 კოლ. (60 კაპს.) 3 მან. 50 კ. ნახევარი კოლ. (30 კაპს.) 2 მ. 25 კ. ერთი კოლოფის გადაგზავნა 40 კ. ვინც 4 კოლოფზე მეტს გამოიწერს გადაგზავნის ფასი არ გადახდება.

დაკვეთა და წერილების გაგზავნა შეიძლება კავკასიაში მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან **ე. მ. აკოფოვთან**, თბილისი, კრასნოგორის ქუჩა № 3, განყოფილება ბ ქოში. ადგილობრივ ავადმყოფთათვის—კრასნოვოსკის ქუჩა № 52 არ. ავ. მაზიან. ქალაქ გარეშე დამკვეთლებს ვთხოვთ მიმართოს უმთავრეს საწყობში: ტფილისი, კრასნოგორის ქუჩა, № 3 ე. მ. აკოფოვს.

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**. გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოდევოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი**.

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა.
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.